

შპს ჩვენი ფერმა

საიდენტიფიკაციო კოდი: 405 189 380

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	13
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	14
შენიშვნა 1 ძირითადი საშუალებები.....	14
შენიშვნა 2 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები.....	14
შენიშვნა 3 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15
შენიშვნა 4 მარაგები	15
შენიშვნა 5 გრძელვადიანი სესხები	15
შენიშვნა 6 მოკლევადიანი სესხები	16
შენიშვნა 7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16
შენიშვნა 8 ამონაგები	16
შენიშვნა 9 სხვა შემოსავლები.....	16
შენიშვნა 10 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17
შენიშვნა 11 სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	17
შენიშვნა 12 სხვა ხარჯები	17
შენიშვნა 13 ფინანსური ხარჯი	17
4. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	18
5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31-12-20	31-12-19	01-01-19
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	3,611,809	2,669,993	1,227,877
		3,611,809	2,669,993	1,227,877
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	168,273	274,075	134,841
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	335,354	281,970	585,633
მარაგები	4	788,124	487,846	403,409
		1,291,751	1,043,891	1,123,883
მთლიანი აქტივები		4,903,560	3,713,884	2,351,760
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,523,256	930,812	58,195
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3,480,156)	(1,720,412)	(913,539)
		(956,901)	(789,600)	(855,344)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	5	4,315,828	3,587,978	2,819,503
		4,315,828	3,587,978	2,819,503
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	6	947,242	73,819	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	565,684	838,259	387,601
საგადასახადო ვალდებულებები		20,450	-	-
გადასახდელი პროცენტი		11,257	3,428	-
		1,544,633	915,505	387,601
მთლიანი ვალდებულებები		5,860,461	4,503,483	3,207,104
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,903,560	3,713,884	2,351,760

დირექტორი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31-12-20	31-12-19	01-01-19
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	3,611,809	2,669,993	1,227,877
		3,611,809	2,669,993	1,227,877
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	168,273	274,075	134,841
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	335,354	281,970	585,633
მარაგები	4	788,124	487,846	403,409
		1,291,751	1,043,891	1,123,883
მთლიანი აქტივები		4,903,560	3,713,884	2,351,760
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,523,256	930,812	58,195
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3,480,156)	(1,720,412)	(913,539)
		(956,901)	(789,600)	(855,344)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	5	4,315,828	3,587,978	2,819,503
		4,315,828	3,587,978	2,819,503
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	6	947,242	73,819	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	565,684	838,259	387,601
საგადასახადო ვალდებულებები		20,450	-	-
გადასახდელი პროცენტი		11,257	3,428	-
		1,544,633	915,505	387,601
მთლიანი ვალდებულებები		5,860,461	4,503,483	3,207,104
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,903,560	3,713,884	2,351,760



მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2020	2019
ამონაგები	8	3,862,463	4,893,504
თვითღირებულება		(3,796,038)	(4,107,546)
საერთო მოგება		66,426	785,958
სხვა შემოსავლები	9	138,727	15,593
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(802,162)	(456,769)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	11	(926,744)	(182,756)
სხვა ხარჯები	12	(69,890)	(23,308)
საოპერაციო მოგება		(1,593,643)	138,717
ფინანსური ხარჯი	13	(366,101)	(209,721)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(366,101)	(209,721)
მოგება დაბეგვრამდე		(1,959,745)	(71,004)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(1,959,745)	(71,004)
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		(1,959,745)	(71,004)

დირექტორი:

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2020	2019
ამონაგები	8	3,862,463	4,893,504
თვითღირებულება		(3,796,038)	(4,107,546)
საერთო მოგება		66,426	785,958
სხვა შემოსავლები	9	138,727	15,593
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(802,162)	(456,769)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	11	(926,744)	(182,756)
სხვა ხარჯები	12	(69,890)	(23,308)
საოპერაციო მოგება		(1,593,643)	138,717
ფინანსური ხარჯი	13	(366,101)	(209,721)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(366,101)	(209,721)
მოგება დაბეგვრამდე		(1,959,745)	(71,004)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(1,959,745)	(71,004)
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		(1,959,745)	(71,004)



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	58,195	-	(913,539)	(855,344)
წმინდა მოგება	-	-	(71,004)	(71,004)
სხვა სრული შემოსავალი	872,617	-	(735,869)	136,748
პერიოდის სრული შემოსავალი	872,617		(806,873)	65,744
გაცემული დივიდენდი		-		-
2019 წლის 31 დეკემბერი	930,812	-	(1,720,412)	(789,600)
წმინდა მოგება	-	-	(1,959,745)	(1,959,745)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,959,745)	(1,959,745)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,592,444		200,000	1,792,444
2020 წლის 31 დეკემბერი	2,523,256	-	(3,480,156)	(956,901)

დირექტორი:

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	58,195	-	(913,539)	(855,344)
წმინდა მოგება	-	-	(71,004)	(71,004)
სხვა სრული შემოსავალი	872,617	-	(735,869)	136,748
პერიოდის სრული შემოსავალი	872,617	-	(806,873)	65,744
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	930,812	-	(1,720,412)	(789,600)
წმინდა მოგება	-	-	(1,959,745)	(1,959,745)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,959,745)	(1,959,745)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,592,444	-	200,000	1,792,444
2020 წლის 31 დეკემბერი	2,523,256	-	(3,480,156)	(956,901)

დირექტორი:



საბართხილო, შპს
4051893
GEORGIA
CHVENI

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩვენი ფერმა დაფუძნებულია 2017 წლის 9 თებერვალს.
 იურიდიული მისამართი: საქართველო, გურჯაანის რაიონი, სოფელი გურჯაანი.
 ფაქტობრივი მისამართი:
 1. საქართველო, გურჯაანის რაიონი, სოფელი გურჯაანი.
 2. საქართველო, გარდაბანის რაიონი, სოფელი სართიჭალა.
 საიდენტიფიკაციო კოდი: 405 189 380
 დამფუძნებლები და დირექტორი:
 1. გიორგი ბახსოლიანი (პ/ნ 01009000867), 90 % წილის მფლობელი.
 2. ნიკოლოზ სირბილაძე (პ/ნ 60002007846), 10 % წილის მფლობელი.
 დირექტორი: ნიკოლოზ სირბილაძე (პ/ნ 60002007846).

შპს ჩვენი ფერმა-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს 25-35 კგ ცოცხალი ღორების (გოჭების) იმპორტი. აღნიშნული გოჭების გაზრდა დაახლოებით 100-120 კგ-მდე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ ფერმაში და შემდეგ მათი რეალიზაცია.
 ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 01460 (ღორების და გოჭების მოშენება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

• მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №5-6“-ში მოცემულ მე-3

კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

• შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

• პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

• სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

- **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

- **მოგების გადასახადი**

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

- **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

- **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

- **უცხოური ვალუტა**

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31-12-2020	31-12-2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

- **მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობები	5-50 წელი
მანქანა - დანადგარები	5-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა	2-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-20 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2-10 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

• არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

• მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

• მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

• ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს

არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

• საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

• დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

• ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

- ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობით აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთ ები	შენობებ ი	მანქანა- დანადგარები	ავჯი და ოფისის ადჭურვილ ობა	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	დაუმთავ რებელი მშენებლ ობა	სხვა ძირი თადი საშუა ლებე ბი	სულ
31 დეკემბერი 2019	355,289	1,678,940	355,091	21,530	43,414	302,764	13,368	2,770,397
შემოსვლა	6,779		265,552	23,823	(38,414)	925,517	9,827	1,193,085
გასვლა	-				(38,414)			(38,414)
31 დეკემბერი 2020	362,068	1,678,940	620,643	45,353	5,000	1,228,281	23,195	3,963,481
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2019	-	(43,694)	(46,967)	(3,674)	(3,631)		(2,438)	(100,404)
პერიოდის ცვეთა	-	(167,894)	(74,057)	(6,194)	1,881		(5,005)	(251,269)
გაუფასურება	-							-
გასვლა	-				5,442			5,442
31 დეკემბერი 2020	-	(211,588)	(121,023)	(9,868)	(1,750)	-	(7,443)	(351,673)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	355,289	1,635,246	308,124	17,856	39,783	302,764	10,931	2,669,993
31 დეკემბერი 2020	362,068	1,467,352	499,620	35,485	3,250	1,228,281	15,752	3,611,809

- საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ მიღებული სესხების უზრუნველყოფას.
- ძირითადი საშუალებების ცვეთის მეთოდი არის წრფივი.
- კომპანიში ხდება ეგრეთწოდებული „სადედე“ შენობის გაფართოვება და ასევე „სასუქი“, გამოსაზრდელი, შენობების მშენებლობა, გაფართოვება.

შენიშვნა 2 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2020	2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	29,280	3,068
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	2,608	2,282
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	54,385	268,722
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	82,000	3
ჯამი	168,273	274,075

შენიშვნა 3 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2,020	2,019
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	149,841	212,745
საექვო ვალუბის ანარიცხები	63,062	
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	122,451	47,898
საგადასახადო აქტივი		21,327
ჯამი	335,354	281,970

შენიშვნა 4 მარაგები

	2020	2019
საქონელი	788,124	487,846

შენიშვნა 5 გრძელვადიანი სესხები

	2020	2019
გრძელვადიანი სესხები	4,315,828	3,587,978

კომპანიის მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხები:

სს საქართველოს ბანკი - სგან მიღებული სესხები:

მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	სესხის ოდენობა	სესხის პროცენტი
31-07-20	01-02-22	ლარი	300,000	15.0%
12-12-19	11-12-26	ლარი	825,000	3.5%
09-06-20	09-06-27	ლარი	145,000	6%
07-08-20	06-08-24	ლარი	440,000	4.5%
21-06-19	16-06-25	ევრო	910,000	6.6%
28-04-20	25-12-26	ევრო	160,000	7.7%

შპს ინსტა - სგან მიღებული სესხი:

მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	სესხის ოდენობა	სესხის პროცენტი
20-05-19	31-12-21	ევრო	23,000	7.5%

შენიშვნა 6 მოკლევადიანი სესხები

	2020	2019
მოკლევადიანი სესხები	92,536	73,819
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	854,706	
ჯამი	947,242	73,819

შენიშვნა 7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	435,609	784,459
მიღებული ავანსები	130,074	53,800
ჯამი	565,684	838,259

შენიშვნა 8 ამონაგები

	2020	2019
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	3,862,463	4,888,554
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	4,950
ჯამი	3,862,463	4,893,504

შენიშვნა 9 სხვა შემოსავლები

	2020	2019
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	20,871	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,305	5,967
განსაკუთრებული შემოსავლები	116,550	9,626
ჯამი	138,727	15,593

- შემოსავლების მუხლში „განსაკუთრებული შემოსავლები“ ასახულია კომპანიის მიერ „შელავათიანი აგროკრედიტი“-ს ფარგლებში მიღებული სესხის პროცენტის თანადაფინანსების თანხა.

შენიშვნა 10 შოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	412,327	265,096
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	2,860	1,516
თანამშრომლის სარგებელი	16,539	13,233
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	44,172	26,499
ძირითადი საშუალებების ცვეთა	256,711	80,375
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	12,526	5,606
მივლინების ხარჯები	212	
სხვა საერთო ხარჯები	56,816	64,445
ჯამი	802,162	456,769

შენიშვნა 11 სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

	2020	2019
კურსთაშორის სხვაობა	886,786	158,722
კონვერტაცია	39,958	24,034
ჯამი	926,744	182,756

შენიშვნა 12 სხვა ხარჯები

	2020	2019
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	32,972	
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	6,918	3,308
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	30,000	20,000
ჯამი	69,890	23,308

შენიშვნა 13 ფინანსური ხარჯი

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	366,101	209,721

4. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

- აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით კომპანიის ფინანსურ შედეგებზე საგრძნობლად მოქმედებს სავალუტო კურსის ეფექტი. კომპანიას აქვს მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში.
- კომპანიამ სრულად შეწყვიტა გოჭების იმპორტი. განახორციელა დედა ღორების, სანაშენე წმინდა ჯიშის ღორების, იმპორტი და დაიწყო გოჭების შობადობა. ასევე უკვე ხდება მათი გამოზრდა, რეალიზაცია.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:

30 სექტემბერი 2021 წელი

4. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

- აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით კომპანიის ფინანსურ შედეგებზე საგრძნობლად მოქმედებს სავალუტო კურსის ეფექტი. კომპანიას აქვს მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში.
- კომპანიამ სრულად შეწყვიტა გოჭების იმპორტი. განახორციელა დედა ღორების, სანაშენე წმინდა ჯიშის ღორების, იმპორტი და დაიწყო გოჭების შობადობა. ასევე უკვე ხდება მათი გამოზრდა, რეალიზაცია.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.



30 სექტემბერი 2021 წელი